სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 სექტემბერი, 2023 წ

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/48

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული ბსუ-ს წესდების მე-10 და 56-ე მუხლების, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის N06-01/98 დადგენილების (**ცვლილება** N06-01/106, 14.09.2023წ. დადგენილებით), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N07-02/11 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი **საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, N1 დანართის (წესის):

ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „ა1“ კატეგორიის დატვირთვა განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც დასაქმებულია მხოლოდ ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში (ფსიქოლოგიური კლინიკა, სამედიცინო, სასამართლო ან

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში), სადაც ხორციელდება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კლინიკური კომპონენტი/პრაქტიკა.“

ბ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**გ) ბ3 და „გ“ კატეგორიის** სამუშაო დატვირთვის მქონე პირებმა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს **120 სააუდიტორიო საათისა** (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის არაუმეტეს 50 საათისა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა ან დავალიანებული კრედიტების ფარგლებში შესასრულებელი საათებისა);“

დ) ბსუ-ს **დამხმარე/ადმინისტრაციული თანამდებობის** პირმა, რომელსაც არ უჭირავს ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს **120** სააუდიტორიო საათისა, ხოლო ბსუ-ს **სამეცნიერო თანამდებობის** პირმა, რომელსაც არ უჭირავს ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა - სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს **180** სააუდიტორიო საათისა (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის არაუმეტეს 50 საათისა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა ან დავალიანებული კრედიტების ფარგლებში შესასრულებელი საათებისა);**“;**

გ) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის დასაშვებია ბსუ-ში **მოკლევადიანი გადამზადების კურსების** (მათ შორის პერსონალისათვის ან უსდ-ს მე-3 მისიის ფარგლებში შესასრულებელი აქტივობის ფარგლებში) საათების შესრულება წინამდებარე წესით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის გადაჭარბებით (თუკი სრულდება ძირითადად შაბათ-კვირას ან/და დასაქმებულის ძირითად სამუშაოსაგან თავისუფალ დროს/არასამუშაო საათებში).“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი.

3. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2023-2024 სასწავლო წლის შრომითი (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვროს ამავე ბრძანების ამოქმედების პერიოდი და პერსონალის შრომის ანაზღაურების გაანგარიშება (კორექტირების საჭიროება), კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლის შრომითი (აკადემიური) დატვირთვის შესაბამისი შრომის ანაზღაურება დაანგარიშდეს:

ა) **2023 წლის 02 ოქტომბრიდან** - 2023 წლის სექტემბრის კონკურსის შედეგად ახალარჩეულ პერსონალისა და ასევე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების მქონე პირებისათვის (ვისაც 2023 წლის სექტემბერში კონკურსში არ მიუღიათ მონაწილეობა);

ბ) **2023 წლის 18 სექტემბრიდან/21 სექტემბრიდან** - 2023 წლის სექტემბრში ხელახალი კონკურსის შედეგად არჩეულ აკადემიურ პერსონალისათვის (ბსუ-ში შრომითი გამოცდილების მქონე პირები, მათი ახალი კონტრაქტის ამოქმედების შესაბამისი ვადის გათვალისწინებით).

4. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს (აკადემიურ საბჭოს, რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს), რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და აკადემიურ პერსონალს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯ. კარალიძე**